

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია

კომპანიის პროფილი

მარტი, 2022

სარჩევი

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია	2
თანამფლობელები	3
თანაინვესტირების ფონდი	3
Hunnewell Partners	4
გარემოსდაცვითი საკითხები.....	5
კასპის ცემენტის ქარხანა.....	5
ახალი ტექნოლოგიური ხაზი	8
გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა	11
ხმაურის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა	11
რუსთავის ქარხნები	13
საქცემენტი	13
ვალდებულებების შესრულება	13
ქართული ცემენტი.....	17
ვალდებულებების შესრულება	17
ფოთის ქარხანა	18
ვალდებულებების შესრულება	20
პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია	22
ლიცენზიები	22
გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია	27

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია

ჰაიდელბერგცემენტი საქართველოში 2006 წლიდან ოპერირებს და დღეისათვის კომპანია ფლობს ცემენტის ქარხნებს კასპში და რუსთავში, ცემენტის წისქვილს ფოთში და ცემენტის ტერმინალს სუფსაში, ასევე, ბეტონის თოთხმეტ ქარხანას თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ საცემენტე კლინკერის, ცემენტისა და ბეტონის რეალიზაციას ახდენს საქართველოს ბაზარზე.

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის თანახმად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (ს/კ 230866435) მესაკუთრე არის ჰოლანდიაში 2002 წლის 13 თებერვალს რეგისტრირებული კომპანია „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი.“, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 2016 წლის მდგომარეობით იყვნენ: გელა ბეჟუაშვილი, რობერტ ბეჟუაშვილი, კლაუს ალფრედ შვინდი (გერმანია), ალბერტ შოიერი (გერმანია), კრისტიან კნელი (გერმანია). 2018 წლის 12 თებერვლის ამონაწერის თანახმად, კომპანიის საბჭოს წევრები არიან: მათის ქოენრად მარია ქრემერს (Mathijs Coenraad Maria Cremers, Netherlands), ინგერ მარიამ ვერსერჰოფ-ცვევერინკი (Inger Mirjam Westehof-Zweverink, Netherlands), ალბერტ შოიერი (Albert Scheuer, Germany), კრისტიან მაიკლი (Christian Mikli, Germany), ვერბეკე, ედვარდ იურგენ (Verbeke, Eduard Jurgen) კლოოსტერჰუის მაქსი (Kloosterhuis, Max), გიორგი ბაჩიაშვილი და ირაკლი რუხაძე.

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას [2020 წლის ფინანსური ანგარიშის](#) თანახმად, „2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ნიდერლანდებში დაფუძნებული კომპანია „CaucasusCement Holding B.V.“ („უშუალო მშობელი კომპანია“). 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „CaucasusCement Holding B.V.“-ის მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია ასე გამოიყურება:

ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია „HeidelbergCement Central Europe East Holding B.V.“ (შემდგომში „HC CEE“)	45.00%
ლუქსემბურგში რეგისტრირებული კომპანია „Cement Invest B.V.“	45.00%
ქ-ნი სვეტლანა ლამბრიანოვა-ბეჟუაშვილი ¹ , საქართველოს მოქალაქე	10.00%
	<hr/>
	100.00%

„HC CEE“-ის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა გერმანიაში დაფუძნებული და მოქმედი კომპანია „HeidelbergCement AG“ (შემდგომში „HC AG“). Cement Invest B.V-ის ერთობლივად აკონტროლებს კაიმანის კუნძულებზე დაფუძნებული GCF L.P და ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე დაფუძნებული Park Street Capital L.P“.

კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი (CaucasusCement Holding B.V.) არის **შპს თერჯოლა-კარიერის** (ს/კ 204546811) 100% წილის მფლობელი, რომელსაც 2017 წელს შპს კარიერ ჰოლდინგი (416307124) შეერწყა.

2017 წელს ჰაიდელბერგცემენტმა დაიწყო ქართული აქტივების კონსოლიდაცია. მოხდა შპს ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსის (204430400) შეერწყმა შპს ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსთან (202394391) და შპს ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიასთან (204559003). მანამდე 2009 წელს კომპანიას შპს ალგე-მინერალი (216441660) შეერწყა.

¹ პროფესიით პედაგოგი, [დავით ბეჟუაშვილის](#) და [გელა ბეჟუაშვილის](#) დედა.

2018 წლის 3 აპრილს შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი (204430400), თავის მხრივ, შეერწყა შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას (230866435), რომელსაც მანამდე მიუერთდა "რუსთავცემენტი" (216291992), შპს "მელიზა" (224071359), კასპიციემენტი (230866747), შპს "კავკასიატრანსი" (216439879) და შპს "კარიერიინვესტი" (216439888).

საბოლოოდ კონსოლიდირებული კომპანიის მფლობელია ჰოლანდიაში რეგისტრირებული „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი“, რომლის 50% წილს ჰაიდელბერგცემენტი, ხოლო მეორე ნახევარს ჰაიდელბერგცემენტის მიერ გავრცელებული განცხადების² თანახმად, ქართული „[თანაინვესტირების ფონდისა](#)“ და კომპანია [Hunnewell Partners](#) მიერ ერთობლივად მართული „ცემენტ ინვესტ ბი.ვი.“ ფლობს.

საინტერესოა, რომ ჰაიდელბერგცემენტის 2017 წლის ანგარიშის³ თანახმად, „2017 წლის 10 ნოემბერს ჰაიდელბერგცემენტმა გაყიდა მისი წილის 55% სრულად კონსოლიდირებულ „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი.“-სა და მის ქართულ შვილობილ კომპანიებში: შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია, შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი და შპს თერჯოლა-კარიერი. გაყიდვის ფასმა შეადგინა 20.8 მილიონი ევრო, რომლის გადახდა მოხდა ნაღდი ფულით“.

თანამფლობელები

თანაინვესტირების ფონდი

„[თანაინვესტირების ფონდი](#)“ 2013 წელს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და ამჟამად მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ თამჯდომარემ - ბიძინა ივანიშვილმა დაარსა. [ფონდის ვებ-გვერდზე განთავსებული](#) ინფორმაციის თანახმად, „ჰაიდელბერგცემენტი მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ბრენდია ცემენტისა და ბეტონის ბაზარზე, რომელიც 2006 წლიდან საქართველოში ოპერირებს. 2017 წელს კი საქართველოს თანაინვესტირების ფონდისა და ჰანიველ პარტნერსის მიერ ერთობლივად მოხდა ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას წილის 50%-ის შესყიდვა, რათა განხორციელებულიყო კასპის ქარხნის მოდერნიზაციის პროექტი. თანაინვესტირების ფონდის მხარდაჭერით, ჰაიდელბერგცემენტის კასპის ქარხანაში, საფუძველი ჩაეყარა 100 მილიონი აშშ დოლარის საინვესტიციო პროექტს, რომელიც გულისხმობს კასპის ცემენტის ქარხნის სრულ მოდერნიზაციას და კლინკერის წარმოების მშრალი ხაზის მშენებლობას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს წარმოების ხარჯებს“.

ფონდის დაარსებისას გავრცელებული ინფორმაციით ფონდს მართავს საქართველოში რეგისტრირებული შპს ჯი სი ეფ პარტნიორები (404992718), რომლის მეწილეები იყვნენ: გიორგი ბაჩიაშვილი - 42%, ლევან ვასაძე, რუსეთის ფედერაცია - 16% და უჩა მამაცაშვილი (ბიძინა ივანიშვილის ახლო ნათესავი და ბიზნეს ურთიერთობებში ნდობით აღჭურვილი პირი) - 42%. დღეის მდგომარეობით, კომპანიის 100% წილის მფლობელი და გენერალური დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილია. ლევან ვასაძემ კომპანია 2014 წელს დატოვა, ხოლო 2018 წლის თებერვალში უჩა მამაცაშვილმაც დატოვა.

² [HeidelbergCement sells half of its Georgian business, 10 November 2017](#)

³ [ჰაიდელბერგცემენტი, წლიური ანგარიში, 2017](#)

On 10 November 2017, HeidelbergCement sold 55% of the shares in the fully consolidated CaucasusCement Holding B.V., 's-Hertogenbosch, Netherlands, and its Georgian subsidiaries LLC HeidelbergCement Georgia, LLC HeidelbergCement Caucasus, and LLC Terjola-Quarry, Tbilisi (CaucasusCement Group). The sales price amounted to €20.8 million and was paid in cash. The divestment resulted in a gain of €4.5 million, which is shown in the additional ordinary income. The participation of 45% remaining after the divestment is accounted for as a joint venture in the consolidated financial statements.

ჯი სი ეფ პარტნიორების [2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის](#) შპს-ს 100%-იან მფლობელობაშია 2 შვილობილი კომპანია: შპს მარნეულის ცემენტი (404490298) და შპს თბილისის ტექნოპოლისი (406129648). ანგარიშის თანახმად, კომპანია ახორციელებს ინვესტიციების მართვის, ზოგადი მართვისა და სხვა საკონსულტაციო მომსახურების გაწევას.

2014 წელს კომპანიამ დადო საინვესტიციო აგენტისა და ინვესტიციების მართვის ხელშეკრულებები GCF Luxembourg SARL-თან („Luxco“, შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანია, დაფუძნებული და მოქმედი ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს კანონმდებლობის შესაბამისად) და GCF GP-ისთან (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დარეგისტრირებული კაიმანის კუნძულების კანონმდებლობის შესაბამისად). 2017 წელს კომპანიამ დადო ზოგადი მმართველობითი მომსახურების და წილების მართვის ხელშეკრულება შპს „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდთან“ (GTDF, ს/კ 405033734, მფლობელი სააქციო საზოგადოება [FRANKSTON INTERNATIONAL S.A.](#), 754525 /ჰანამა/4). წილის მართვის ხელშეკრულებები GTDF-თან შეწყდა 2018 წლის აპრილში.

Hunnewell Partners

კომპანიას აქვს [ვებ-გვერდი](#), რომლის თანახმად Hunnewell Partners არის კავკასიის რეგიონში გამორჩეული კერძო კაპიტალი, რომელიც მართავს აქტივებს ტელეკომუნიკაციაში, მეტალურგიაში (ფოლადი), უძრავი ქონებასა და მედიაში. აქვე აღნიშნულია, რომ Hunnewell Partners მართავს წარმატებულ სასამართლო დავების დაფინანსების ბიზნესს Park Street Litigation-ის სახით, რომელმაც ინვესტიცია გააკეთა ბრიტანეთის უმაღლესის სასამართლოს მიერ განხილულ რამდენიმე დიდ საქმეში ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

კომპანიის მმართველი პარტნიორები არიან: იგორ ალექსევი, ბენ მარსონი და ირაკლი რუხაძე. სხვა რაიმე ღირებულ ინფორმაციას ვებ-გვერდი არ მოიცავს, თუმცა კომპანიისა და მისი დამფუძნებლების შესახებ ვრცელი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ბრიტანეთის უმაღლესის სასამართლოს მიერ 2008 წელს გარდაცვლილი მილიარდერის ბადრი პატარკაციშვილის ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ [საქმის მასალებში](#) და დავისადმი მიძღვნილ არაერთ მედია პუბლიკაციაში⁵.

ირაკლი რუხაძე ამავდროულად არის ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე. ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „2018 წლამდე “Hunnewell Partners” აქტივების მართვის მულტი იურისდიქციულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც წარმოდგენილი იყო ოფისებით ლონდონში, მაიამიში, თბილისში, კიევში, მალაგაში და ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე. ორგანიზაციის პარტნიორები მართავდნენ აქტივებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ასევე მაღალი პროფილის მქონე პერსონების განსაკუთრებულად მაღალი ღირებულების აქტივებს. 2018 წლის შემდეგ „Hunnewell Partners“-მა მოახდინა ინვესტირებათან ურთიერთობების რესტრუქტურირება და ის ორგანიზაციის მფლობელების და მათი ოჯახების პირად აქტივებს მართავს. “Hunnewell Partners“-ის ამჟამინდელი საოპერაციო ინტერესის სფეროა საქართველოში კერძო კაპიტალის მართვა და სამართალწარმოების დაფინანსება დიდ ბრიტანეთში. საქართველოში Hunnewell Partners“-ის პორტფელი წარმოდგენილია ქვეყნის უმსხვილესი და

⁴ [თანინვესტირების ფონდი FRANKSTON INTERNATIONAL-ის მფლობელის ვინაობას მალავს, 12 აპრილი, 2016, ტაბულა](#)
⁵ [„ბრიტანულმა სასამართლომ ირაკლი რუხაძე Salford-ის მილიარდიანი პროექტის მითვისებაში ამხილა“](#),
ავტორი: მოთა ტყეშელაშვილი, <http://forbes.ge>

[„ლონდონის სასამართლო: ირაკლი რუხაძემ პატარკაციშვილის აქტივების მოძიების ბიზნესი უკანონოდ მიითვისა“](#),
www.on.ge

მაღალი ცნობადობის მქონე ორგანიზაციებით როგორებიცაა მაგთიკომი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ჰაიდელბერგ ცემენტი, ლიბერთი ბანკი, აიდეის ბორჯომი და ტელე იმედი“⁶.

ირაკლი რუხაძე არის შპს ტელეიმედის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

გარემოსდაცვითი საკითხები

ბუნებრივი ადრისთვის, ანგარიშებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებული ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას [2020 წლის ფინანსური ანგარიშის](#) თანახმად, „საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომლის გათვალისწინებაც ხელმძღვანელობს უწევს, არის ხმაურის და გარემოს დაბინძურების რეგულაციები. ხელმძღვანელობა ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშებს ცემენტის ქარხნების მიერ ხმაურისა და გარემოს დაბინძურების ნორმების დაცვის შესახებ. ამასთან, თუ გარემოს დაცვის სამინისტრო მიიღებს რამე საჩივარს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით, დაუგეგმავი შემოწმება ტარდება. **ხელმძღვანელობის აზრით, ქარხნები სრულად აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს და რეგულაციის დარღვევის რისკი არ არსებობს“.**

Hunnewell Partners-ის ვებ-გვერდზე⁷ ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას შესახებ ვკითხულობთ: „დღეისათვის , ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას თავის საწარმოებში 400 მილიონ ევროზე მეტი ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება აქვს აღებული. ერთ-ერთი ასეთი პროექტი, საქართველოში ცემენტის უმსხვილესი ინტეგრირებული ქარხნის მოდერნიზაცია, დასრულდა 2019 წლის თებერვალში. კასპის ქარხანაში, დაახლოებით 100 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელების შედეგად, გაიზარდა ამ თანამდეროვე ქარხნის ეფექტურობა და გამომუშავება. ამასთანავე, **ქარხანა იცავს ევროკავშირის ყველაზე მკაცრ გარემოსდაცვითი რეგულაციებს.**

კასპის ცემენტის ქარხანა

კასპის ცემენტის ქარხანამ ფუნქციონირება, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ამოქმედებამდე გაცილებით ადრე, 1930 წელს დაიწყო. ამიტომ 2009 წელს საწარმომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა მიმდინარე საქმიანობისათვის აიღო.

ნებართვის მოსაპოვებლად წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს; არ იყო წარდგენილი კანონის თანახმად სავალდებულო დოკუმენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა ნებართვა სამინისტრომ მაინც გასცა. ქარხნის მაშინდელ მესაკუთრეზე შპს „საქცემენტზე“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის (გიორგი ხაჩიძის) 2009 წლის 11 სექტემბრის #ი-483 ბრძანებით ცემენტის წარმოების მიმდინარე საქმიანობაზე გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. საწარმოს ნებართვის პირობებით პოსტ ფაქტუმ დაევალა იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა განხილულიყო. ნებართვის პირობების თანახმად, საწარმოს ხელმძღვანელობას სამინისტროში განსახილველად უნდა წარედგინა:

⁶ ირაკლი რუხაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ლიბერთი ბანკი

⁷ <https://www.hunnewellpartners.com/heidelbergcement/>

1. მტვერდამჭერი მოწყობილობების და ვენტისსტემების გამართვა-პასპორტიზაციის ტექნოლოგიური ანგარიში, მტვერდამჭერი მოწყობილობების ფაქტიური ეფექტურობის მონაცემებით.
2. ხმაურის ჩახშობის ღონისძიებათა გეგმით შესრულებული მონიტორინგის ტექნიკური ანგარიში.
3. ემისიების მონიტორინგის პროგრამა და მისი შესრულების შედეგები.
4. საცხოვრებელი ზონის საზღვარზე, ატმოსფერული ჰაერის მიწისზედა ფენის მონიტორინგი შედეგები, საწარმოს სხვადასხვა დატვირთვის რეჟიმში ფუნქციონირების გათვალისწინებით.
5. ნარჩენების მართვის გეგმა.
6. ავარიულ სიტუაციებზე მართვის გეგმა. ასევე, ობიექტი უნდა აღჭურვილიყო შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით.

ამავე ნებართვის პირობების თანახმად საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა განახორციელოს:

7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიაზე სისტემატიური კონტროლი;
8. ტექნოლოგიური ხაზის მტვერდამჭერი სისტემის მუშაობის ეფექტურობის პერიოდული შემოწმება;
9. უზრუნველყოს მომსახურე პერსონალი რესპირატორებითა და ხმაურისგან დამცავი საშუალებებით;
10. ნებართვის გაცემიდან უახლოეს პერიოდში შემოფარგლოს ტერიტორია ორ ღონეზე მარადმწვანე მცენარეებით.

2009 წლის 9 სექტემბერს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობების შესრულების შემოწმება გაცემიდან მხოლოდ 7 წლის შემდეგ 2016 წელს მოხდა. 2016 წლის 29 თებერვლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმით დაფიქსირდა ეკოლოგიური ექსპერტიზის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პირობების დარღვევა. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის დარღვეული პირობების გამოსასწორებლად ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას კონკრეტული ვადები დაუდგინდა.

2017 წლის ივლისში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა შეუსრულებელი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულების მდგომარეობა გადაამოწმა. როგორც გაირკვა, განსაზღვრულ ვადაში, კვლავ არ იყო შესრულებული შემდეგი ვალდებულებები:

1. სამინისტროში განსახილველად არ იყო წარდგენილი მტვერდამჭერი მოწყობილობის და ვენტისსტემების გამართვა-პასპორტიზაციის ტექნიკური ანგარიში მტვერდამჭერი მოწყობილობის ფაქტიური ეფექტურობის მონაცემებით;
2. სამინისტროში განსახილველად არ იყო წარდგენილი ხმაურის ჩახშობის შემუშავებული ღონისძიებათა გეგმით შესრულებული ხმაურის მონიტორინგის ტექნიკური ანგარიშის შესახებ ინფორმაცია;
3. სამინისტროში განსახილველად არ იყო წარდგენილი ემისიების მონიტორინგის შემუშავებული კონკრეტული პროგრამა;
4. სამინისტროში განსახილველად არ იყო წარდგენილი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ატმოსფერული ჰაერის მიწისზედა ფენის მონიტორინგის შედეგები საწარმოს სხვადასხვა დატვირთვის რეჟიმში ფუნქციონირების გათვალისწინებით;
5. ინსპექტირების პროცესში კომპანიამ ვერ წარადგინა განახლებული ნარჩენების მართვის გეგმა;

6. არ იყო უზრუნველყოფილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და საწარმოში სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე განთავსება;
7. არ უზრუნველყოფილი საწარმოს ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების მიზნით განთავსებული ურნების სათანადო იარღიყებით მარკირება;
8. სამინისტროში შესათანხმებლად არ იყო წარდგენილი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ასევე, არ იყო უზრუნველყოფილი საწარმოს ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით სრულყოფილი აღჭურვა;
9. კომპანიამ ვერ წარადგინა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებზე სისტემატური კონტროლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
10. კომპანიამ ვერ წარადგინა ძირითადი ტექნოლოგიური ხაზის მტვერდამჭერი სისტემის მუშაობის ეფექტურობის პერიოდული შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
11. არ იყო უზრუნველყოფილი საწარმოს ტერიტორიის მარადმწვანე მცენარეებით ორ ღონეზე შემოფარგვლა;
12. კომპანიამ არ განაახლა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი და არ წარადგინა პროექტი სამინისტროში შესათანხმებლად;
13. კომპანიამ არ მოაგვარა საწარმოში არაორგანიზებულ გაფრქვევებთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები. შესაბამისად, არ იყო უზრუნველყოფილი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა. არ იყო დაცული დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები;
14. კომპანიამ ვერ წარადგინა დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მუდმივი მონიტორინგის/თვითმონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
15. კომპანიამ ვერ წარადგინა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №8 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების ღონისძიებების გეგმა;
16. კომპანიამ ვერ წარადგინა გამოყენებული და ჩაშვებული წყლების თვითმონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
17. კომპანიამ ვერ წარადგინა საწარმო-ტექნოლოგიურ პროცესებში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღჩ) ნორმებთან“ შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
18. ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია წყალაღებას ზედაპირული წყლის ობიექტიდან ახორციელებდა, თუმცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესაბამისად არ იყო განსაზღვრული მდინარიდან წყლის აღების საკითხი;
19. ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია არ ასრულებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციებს/ ვალდებულებებს⁸.

⁸ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2018 წლის 25 იანვრის #DES1180004242 წერილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს.

გამოვლენილ დარღვევებზე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიმართ 2017 წლის 31 ივლისის კვლავ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №035963 ოქმი. ოქმის საფუძველზე სასამართლომ 2017 წლის 04 სექტემბრის №4-148-17 დადგენილებით, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და დააკისრა ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით. დადგენილება შევიდა კანონიერ ძალაში და სანებართვო პირობების შეუსრულებლობის აღმოსაფხვრელად, სამინისტრომ კომპანიას კვლავ განუსაზღვრა გონივრული ვადები.

ახალი ტექნოლოგიური ხაზი

2016 წელს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ დაგეგმა კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე ცემენტის მშრალი მეთოდით წარმოების ახალი ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობა და ამ პროექტის განხორციელებისთვის მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესში დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაც მიიღო. ამჯერადაც, კომპანიამ არ წარადგინა კანონის თანახმად სავალდებულო დოკუმენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა სამინისტრომ მაინც გასცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის. საწარმოს, კვლავ, პოსტ ფაქტუმ დაევალა იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

მინისტრის 2017 წლის 11 მაისის #ი244 ბრძანებით დამტკიცებული ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობების თანახმად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია:

1. მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შემარბილებელი ღონისძიებებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.
2. მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.
3. **მშენებლობის დაწყებამდე** უზრუნველყოს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საწარმოსა და სამშენებლო მოედნის გენ-გეგმის წარმოდგენა, რომელზეც მოცემული იქნება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს წყალმომარაგებისა და საწარმოში წარმოქმნილი სანიაღვრე და სამეურნეო-ფეკალური წყლების საკანალიზაციო სისტემის სქემა.
4. **მშენებლობის დაწყებამდე** უზრუნველყოს სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის თაობაზე, შესაბამის ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების წარდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.
5. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტში „ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტით“ წარმოდგენილი ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა.
6. **მშენებლობის დაწყებამდე** უზრუნველყოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ხმაურის დონეების და ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული და ცემენტის მტვრის მონიტორინგის კონკრეტული გეგმა-გრაფიკის გასაზღვრა, მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობის, მეთოდების და საკონტროლო წერტილების GIS კოორდინატების მითითებით და აღნიშნული გეგმა-გრაფიკის წარდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.
7. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა თვითმონიტორინგის წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული და ცემენტის მტვრის კონცენტრაციების, ასევე ხმაურის დონეების გადაჭარბების შემთხვევაში, განსაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები და წამოადგინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.
9. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე ცემენტმზიდების მტვრისგან გათავისუფლება და საწარმოდან დასახლებულ პუნქტებში მათი სუფთა მდგომარეობაში გამოსვლა. ამასთან, აღნიშნული ღონისძიების შესრულებაზე დააწესოს სისტემატური მონიტორინგი.
10. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.
11. ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიის გამწვანება გზმ-ს ანგარიშის შესაბამისად.
12. არსებული ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟის შემთხვევაში, ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს არსებული ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟის პროექტის მომზადება და განსახილველად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა.
13. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დასკვნის მეორე პირობის მოთხოვნის შესაბამისად, კომპანიას სამინისტროსთვის არ უცნობებია მშენებლობის დაწყების შესახებ, მაგრამ 2019 წლის 2 აპრილს საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობა.

კომპანიის ვალდებულებების შესრულების ამსახველი, სამინისტროს მიერ ჩვენთვის მოწოდებული, დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ კომპანია ეკოლოგიური ექსპერტიზის სხვა პირობებსაც არღვევს. ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის დათვალეირება/შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ჰაიდელბერგცემენტი არღვევდა დასკვნის მე-2, მე-3, მე-4, მე-6, მე-8 და მე-13 პირობებს, რის შესახებაც 2019 წლის 4 ივნისს შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და მასალები განსახილველად კასპის მაგისტრანტ სასამართლოს გადაეგზავნა. სასამართლოს 2019 წლის 1 ივლისის #4/92-19 დადგენილებით მკს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და შეეფარდა 5000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა.

მოგვიანებით, სამინისტროს 2020 წლის 16 მარტის წერილით კომპანიას დაუდგინდა ვადები სამართალდარღვევის გამოსასწორებლად. კერძოდ, კომპანიას დაევალა:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან 2 თვის ვადაში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საწარმოსა და სამშენებლო მოედნის გენ-გეგმის წარმოდგენა, რომელზეც მოცემული იქნება **მშენებლობისა** და ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს წყალმომარაგებისა და საწარმოში წარმოქმნილი სანიაღვრე და სამეურნეო-ფეკალური წყლების საკანალიზაციო სისტემის სქემა (საგულისხმოა, რომ პირობა მშენებლობის დაწყებამდე, ანუ 2 წლის წინ იყო შესასრულებელი).

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან 2 თვის ვადაში სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის თაობაზე, შესაბამის ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების წარდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (მშენებლობის დაწყებამდე შესასრულებელი პირობა).
3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან 3 თვის ვადაში, ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ხმაურის დონეების და ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული და ცემენტის მტვრის მონიტორინგის კონკრეტული გეგმა-გრაფიკის გასაზღვრა, მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობის, მეთოდების და საკონტროლო წერტილების GIS კოორდინატების მითითებით და აღნიშნული გეგმა-გრაფიკის სამინისტროში წარდგენა (ასევე, მშენებლობის დაწყებამდე შესასრულებელი პირობა).
4. გეგმა-გრაფიკის სამინისტროსგან შეთანხმების შემდეგ, კომპანიას დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული და ცემენტის მტვრის კონცენტრაციების, ასევე ხმაურის დონეების გასაზღვრა და გადაჭარბების შემთხვევაში, შეუმუშავებინა დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები და წარედგინა სამინისტროსათვის.
5. ასევე, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებისთანავე, კომპანიას უნდა დაეწყო ნარჩენების მართვა კანონმდებლობის შესაბამისად.

2020 წლის 13 ივლისს კომპანიამ მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და მოითხოვა პანდემიით გამოწვეული სიტუაციის გამო არასახიფათო ნარჩენების საცავის მშენებლობის (მე-13 პირობის შესრულების მიზნებისათვის) ვალდებულების გადავადება. სამინისტროს გადაწყვეტილების საცავის მშენებლობის ვადა 2020 წლის 30 სექტემბრამდე გახანგრძლივდა.


ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობების შესრულებისათვის დადგენილი ვადები კომპანიამ დაარღვია. 2020 წლის ოქტომბერში განმეორებითი შემოწმებისას დადგინდა, რომ არცერთი ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი ვალდებულება არ იყო შესრულებული, რაზეც კვლავ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^ბ-ე მუხლის მეორე ნაწილით, 2020 წლის 15 ოქტომბერს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 058588 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაიგზავნა შესაბამის სასამართლოში. ამჯერად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სახდელის გასამმაგებელი ოდენობით - 15 ათასი ლარით დაჯარიმდა. სასამართლოს გადაწყვეტილების (2020 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება) კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, კომპანიას კვლავ განესაზღვრა გონივრული ვადები დარღვევების აღმოსაფხვრელად.

2021 წლის 9 აგვისტოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კვლავ შეამოწმეს პირობების შესრულების მდგომარეობის მდგომარეობა. კომპანიის ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვას კომპანია არ ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ: საწარმოს ტერიტორიაზე, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, არაერთგანაა დაყრილი ერთმანეთში შერეული სხვადასხვა სახის ნარჩენი, მათ შორის სახიფათო, სამშენებლო, ინერტული და სხვა. ასევე საწარმოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც უნდა მოეწყოს არასახიფათო ნარჩენების საცავი, დაყრილია დიდი რაოდენობით ერთმანეთში არეული სამშენებლო, საწარმოო, სახიფათო და სხვა სახის ნარჩენები. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა შესაბამისი აქტი, მოგვიანებით კი, ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობისათვის შედგა ოქმი №065151, რომელიც გადაგზავნა სასამართლოს. გორის რაიონული

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას დაეკისრა ჯარიმის კიდევ ერთხელ გასამმაგებელი - 45 ათასი ლარის ოდენობით გადახდის ვალდებულება.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

2020 წლის 13 ივლისს კომპანიას დასკვნის მე-6 პირობის შესრულების მიზნით სამინისტროში წარდგენილი აქვს დოკუმენტი სახელწოდებით „კასპის ცემენტის ქარხანა - გარემოსდაცვითი მონიტორინგი გეგმა“. სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო - უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ხმაურის დონეების და ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული და ცემენტის მტვრის მონიტორინგის კონკრეტული გეგმა-გრაფიკი, მონიტორინგის ჩატარების პერიოდულობის, მეთოდების და საკონტროლო წერტილების GIS კოორდინატების მითითებით. გეგმა ასე გამოიყურება:



მართალია, გეგმის 'შესავალში' აღნიშნულია, რომ „გეგმას ზოგადი სახე გააჩნია და საქმიანობის განხორციელების პროცესში შესაძლებელია მისი დეტალიზება და გარკვეული მიმართულებით კორექტირება“, მაგრამ სამინისტროსთვის პრობლემური აღმოჩნდა მხოლოდ ერთ წერტილში მტვრისა და ხმაურის დონის კვარტალში ერთხელ შემოწმება. კომპანიას დაევალა 1 თვის ვადაში (2020 წლის 19 სექტემბრამდე) შესწორებული მონიტორინგის გეგმა-გრაფიკის სამინისტროში წარდგენა. საბოლოოდ ვალდებულების შესრულებლობაზე არაერთხელ მითითების შემდეგ, კომპანიამ 2021 წლის 20 მაისს წარადგინა „შესწორებული“ გეგმა-გრაფიკი. ახალი დოკუმენტის თანახმად, მტვრისა და ხმაურის დონის კონტროლი არა პერმანენტულად, არამედ მხოლოდ თვეში ერთხელ უნდა მოხდეს. გაუმჯობესებად უნდა ჩავთვალოთ რომ შემოწმება მოხდება არა ერთ, არამედ სამ წერტილში. ხმაურის და მტვრის დონის შემოწმება, ასევე, საჩივრების წარდგენის შემთხვევაში მოხდება. ხოლო, გადაჭარბების დაფიქსირებისას გაზომვები პერმანენტულად, პრობლემის იდენტიფიცირებამდე იწარმოებს და შემდგომში მოხდება შემარბილებელი ღონისძიების შემუშავება. ეს დოკუმენტი, სამინისტრომ მოიწონა.

ხმაურის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა

ხმაურის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ჯერ კიდევ 2016 წელს ახალი ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობის პროექტისათვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად განსახილველ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარედგინა. თუმცა, მაშინ სამინისტრომ თვალის დახუჭა კანონის ამ მოთხოვნის შესრულებლობაზე და დოკუმენტის პოსტ ფაქტუმ წარდგენა დაავალა. შედეგად, პირობის შესრულებლობის გამო რამდენჯერმე დაჯარიმების მიუხედავად, კომპანიას დღესაც არ აქვს ხმაურის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა.

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას რამდენჯერმე აქვს წარდგენილი გეგმა, რომლსაც სამინისტრო არ ითანხმებს, კომპანია კი ჯიუტად ცდილობს გეგმის საკუთარი ვერსიის გატანას. შეუთანხმებლობის ერთადერთი მიზეზი ხმაურის ზღვრულად დასაშვები ნორმაა, რომელსაც კომპანია სრულიად აბსურდული საფუძვლით არ ეთანხმება. კერძოდ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კომპანიას არაერთხელ განუმარტა, რომ ხმაურის დასაშვები ნორმები დადგენილია „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს № 398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით, რომელთანაც უნდა მოხდეს მონიტორინგის შედეგების შედარება.

რეგლამენტის თანახმად, ხმაურის დასაშვები დონე დამის განმავლობაში (23:00სთ-დან 08:00სთ-მდე) საწარმოსათვის შეადგენს 40 დბ-ს. ხოლო, მპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ცდილობს იხელმძღვანელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით, რომლის თანახმად, (ცხრილი 6.3.1.4.) ხმაურის რეკომენდირებული სიდიდე დამის საათებში არის 45 დბ.

გეგმის სამინისტროსათვის 2021 წლის 6 აგვისტოს წარდგენილ ვერსიაში კომპანია უთითებს: „საცხოვრებელი ზონებისთვის ხმაურის ნორმები დადგენილია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით, „ტექნიკური რეგლამენტი – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“, ამავე დადგენილებით განსაზღვრულია დღე-ღამის პერიოდები:

დღე – 08:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე,

საღამო – 19:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე;

ღამე – 23:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 29/06/2021 N6659/01 წერილის მიხედვით, კომპანიამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ნორმებით:

აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე

№	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		L _{დღე} (დბA)		L _{ღამე} (დბA)
		დღე	საღამო	
13	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40
14	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა >6), კულტურულ, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45

ხოლო იქიდან გამომდინარე რომ კანონმდებლობით არაა განსაზღვრული ინდუსტრიული ზონებში ხმაურის ნორმები, აქ კომპანია ისარგებლებს გზმ-თი განსაზღვრული ნორმით (70 დბ, დღე-ღამის სამივე პერიოდისთვის: დღე, საღამო, ღამე)“.

ამ აბსურდული განმარტების შემცველი გეგმა სამინისტროს არ შეუთანხმებია, რაც ვერ არის სათანადო ნუგეში მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისათვის; ვინაიდან, საწარმო აგრძელებს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას, რაც ნიშნავს, რომ ხმაური არის პერმანენტული, მათ შორის ღამის საათებში.

რუსთავის ქარხნები

საქცემენტი

2009 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ქ. რუსთავში შპს „საქცემენტის“ (შემდგომში შეერწყა „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“) ცემენტის წარმოებაზე გაცემულია №109 (29.12.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა #000060. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2018 წლის 18 აგვისტოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ რომლითაც გაუქმდა ბრძანება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ, მაგრამ ძალაში დარჩა 2009 წლის №109 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

დასკვნის გაცემისას განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, „შპს „საქცემენტი“, წარმოადგენს ყოფილი სსრკ-ს პირობებში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ „რუსთავის ცემენტის ქარხნის“ მემკვიდრეს, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო ჯერ კიდევ 1956 წელს და აწარმოებდა სხვადასხვა მარკის ცემენტს. მისი საპროექტო სიმძლავრე შეადგენდა 864 ათ. ტონა ცემენტს. დღევანდელ პირობებში საწარმოს დაგეგმილი აქვს 700000 ტონა ცემენტის წარმოება წელიწადში. ამ რაოდენობის ცემენტის საწარმოებლად, აგრეთვე სარეალიზაციო საჭიროებისთვის, საწარმო წელიწადში გამოუშვებს 500000 ტონა კლინკერს. საწარმო საწვავად გამოიყენებს ნახშირს, რომლის რაოდენობა წელიწადში შეადგენს 170 ათ. ტონას... საწარმოს სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 365-ს, ხოლო დღე-ღამეში სამუშაო საათების რაოდენობა - 24-ს“.

საქმიანობაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, რუსთავის ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელობა ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს გზმ ანგარიშით გათვალისწინებული ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად:

1. ქარხნის ხელმძღვანელობამ აწარმოოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი (მათ შორის ყოველ კვარტალში გამოფრქვევების წყაროების თვითმონიტორინგი) როგორც ქარხნის ტერიტორიაზე ასევე მის გარეთ.
2. ყოველწლიურად განახორციელოს მტვერდამჭერ მოწყობილობათა პასპორტიზაცია.
3. ჩაატაროს სამუშაო ქარხნის ტერიტორიაზე დაბინძურებული ადგილების სანაციის (გასუფთავების) მიზნით.

ვალდებულებების შესრულება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ლეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 21 დეკემბრის №DES 4 16

00000520 და 29 დეკემბრის №DES 3 16 00000529 ბრძანებების საფუძველზე, მოხდა საწარმოზე გაცემული, გარემოზე ზემოქმედების ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება. შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. საწარმო არ აწარმოებდა გარემოს მდგომარეობის მონიტორინგს, როგორც ქარხნის ტერიტორიაზე, ასევე მის გარეთ; არ ახორციელებდა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ყოველკვარტალურ თვითმონიტორინგს; არ ჰქონდა შემუშავებული მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა.
2. საწარმოში არ მიმდინარეობდა მტვერდამჭერი დანადგარების ტექნიკური კონტროლი; საწარმოში არ იყო უზრუნველყოფილი აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ეფექტური მუშაობა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტში წარმოდგენილი აირმტვერდამჭერი დანადგარების პარამეტრების დაცვით. გაზომვების შედეგად დაფიქსირდა, რომ სილოსების უბანთან, ორ წერტილში, მტვრის კონცენტრაცია აღემატებოდა დადგენილ ნორმებს.
3. საწარმო არ ასუფთავებდა დაბინძურებული ადგილებს. კერძოდ: საწარმოს უკანა ტერიტორია, სადაც განთავსებულია ძირითადი საამქროები და საწყობები კეთილმოუწყობელი იყო და მთელ პერიმეტრზე დაფენილი იყო ნელლეულისა და პროდუქციის მტვრის სქელი ფენა.
4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან 2015 წლის 31 მარტს შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი“-ში მითითებული გაფრქვევის წყაროების რაოდენობა არ ემთხვეოდა ფაქტობრივ მდგომარეობას.
5. კომპანია ვალდებული იყო შეემუშავებინა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების ღონისძიებები. ინსპექტირებით დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება კომპანიის მიერ არ იყო შესრულებული.
6. საწარმოში მთელ რიგ უბნებზე ზოგიერთ აგრეგატზე და მოწყობილობებზე დარღვეული იყო ტექნოლოგიური პროცესში მონაწილე დანადგარების, მილგაყვანილობების, ბუნკერების და მილტუჩა შეერთებების ჰერმეტიკობა.
7. საწარმოში არსებობდა ატმოსფერულ ჰაერში დამატებით გაფრქვევის არაორგანიზებულ წყაროები. კერძოდ: საცერზე დარჩენილი მასა, მილის საშუალებით გამოდიოდა შენობის გარეთ ღია სივრცეში და იყრებოდა საამქროს მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც ქმნიდა ატმოსფერულ ჰაერში დამატებით გაფრქვევის არაორგანიზებულ წყაროს; საწარმოს ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რკინიგზის ჩიხთან, ღია ცის ქვეშ, განთავსებული იყო კლინკერის დიდი რაოდენობის მარაგები, რომელიც დასაწყობდა ძირითადი საწყობის გავსების შემდგომ (საწყობის ტევადობა 2000-2500 მ მდე). აგრეთვე, კლინკერის საამქროს დაფქვის უბნის მიმდებარედ, ღია ცის ქვეშ განთავსებული იყო ნელლეული - თაბაშირი და კირქვა. გზმ ანგარიშის შესაბამისად, მარაგი უნდა ინახებოდა სპეციალურ საწყობებში. ასევე, საწარმოში დამონტაჟებული ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევებისათვის ავარიული გაფრქვევის მიღები არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში, წარმოადგენენ არაორგანიზებულ გაფრქვევის წყაროებს.
8. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ დადგენილი წესის შესაბამისად არ ახორციელებდა გამოყენებული და ჩაშვებული წყლების თვითმონიტორინგს;
9. შემოწმების პერიოდში ადგილზე დაფიქსირდა ზეთის დაღვრის კვალი, საწარმოს არ გააჩნდა ნავთობპროდუქტების დაღვრის საწინააღმდეგო სისტემა.

10. დარღვეული იყო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები. კერძოდ: არ ხდებოდა ნარჩენების კლასიფიკაცია; არ ხდებოდა ნარჩენების ინვენტარიზაცია; არ ხდებოდა ნარჩენების ტრანსპორტირება/გაცემა; არ ხდებოდა სახიფათო ნარჩენების სეპარირება; სახიფათო ნარჩენების განთავსების მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე გამოყოფილი სპეციალური სასაწყობო ინფრასტრუქტურა არ მოწყობილი გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით; სახიფათო ნარჩენების გატანა-განთავსებასთან დაკავშირებით საწარმოს წარმომადგენლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულება შესაბამის ორგანიზაციასთან; საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული იყო დიდი რაოდენობით ჯართი; მთავარი სადაწნეო ელექტროქვესადგურის შენობის მიმდებარედ განთავსებული იყო საწარმოო ნარჩენები, კერძოდ: მტვერდამჭერი დანადგარების ნახშირი ფილტრები, სამშენებლო ნარჩენები, ზეთების ლითონის კასრები, ნახშირი ტომრები, ნავთობპროდუქტებით დასვრილი ნაჭრები და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრო ქვესადგურში აკრძალულია ადვილად აალებადი და წვადი ნარჩენების დაგროვება, შედეგად ირღვეოდა უსაფრთხოების ნორმები; საწარმოო ნარჩენის - მტვრის მართვა არ ხდებოდა დადგენილი წესის შესაბამისად; საბურავების, რეზინის ნაკეთობების და სხვა ელასტომერების ნარჩენები ქარხნის სხვადასხვა უბნებზე ქაოტურად იყო განთავსებული და საწარმოს ტერიტორიაზე მათი ორგანიზებული შეგროვების მიზნით გამოყოფილი არ იყო სპეციალური ადგილი; არ იყო სპეციალური ადგილი გამოყოფილი ნამუშევარი ზეთების შესანახად, ლითონის კასრებში შეგროვებული ნამუშევარი ზეთები დაფიქსირდა ცემენტის დაფქვის საამქროში, საამქროების მიმდებარედ, ავტოგასამართ სვეტთან და ა.შ.; საწარმოს ტერიტორიაზე ძირითად საამქროებთან, არ დაფიქსირდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების ბუნკერები.
11. ინსპექტირების შედეგად ასევე დადგინდა, რომ საამქროში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებზე და მათ ავტომატურ ამომრთველებზე, რიგ ადგილებში დარღვეული იყო დამცავი გარსაცმის და ხუფის მთლიანობა. კაბელების შეერთების ადგილები ღია მდგომარეობაში იყო, ხოლო რიგ ადგილებში გადაბმები შესრულებული იყო სპეციალური შემაერთებელი ხუფების გარეშე;
12. კომპანიამ ვერ წარმოადგინა შემუშავებული სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია.
13. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, ხანძარქრობისთვის ქარხანაში გათვალისწინებულია მობილური სახანძრო საშუალებები (მანქანები და მოტოპომპები), რისთვისაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახანძრო ჰიდრანტები საწარმოს მთელს ტერიტორიაზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა სახანძრო ჰიდრანტები დამონტაჟებულია მხოლოდ ნახშირის დახურულ საწყობთან;
14. საწარმოში, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნით, სხვადასხვა უბნებზე განთავსებული ზოგიერთი ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი სრულად არ იყო დაკომპლექტებული საჭირო ინვენტარით;
15. ქარხნის ტერიტორიაზე, ნახშირის მიღების უბნის შენობაში, მოწყობილი იყო ავტომატური ხანძარქრობის სისტემა, სადაც განთავსებული იყო CO -ს შემცველი 48 ცალი ბალონი. სისტემაში CO2-ს მატების შემთხვევაში ხდება CO2-ს ბალონების აქტივაცია და აღნიშნული სისტემა ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, ერთდროულად მოემსახურება ნედლი ნახშირის სილოსს, წისქვილის ფილტრებს და დაფქვილი ნახშირის სილოსს. შემოწმებით აღნიშნულ ბალონებზე არ დაფიქსირდა შესაბამისი მაჩვენებლების და ვარგისიანობის ვადა;
16. საწარმოს ტერიტორიაზე არ იყო სათანადო გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები; ამასთან, შემოწმებით დადგინდა, რომ ქვანახშირი არ გამოიყენება საწვავად და მოიხმარება, როგორც ნედლეული ცემენტის წარმოებისათვის.

ამავე ინსპექტირებით გამოვლინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე, 2015 წლის 1 ივნისამდე, მოწყობილია მთავარი დამწვევი ქვესადგური, რომელიც „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად განეკუთვნება ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობას - ანუ, **გამოვლინდა უკანონო მშენებლობის ფაქტი.**

შემოწმების შედეგად გამოვლინდა დარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79 -ე მუხლის 2 შესაბამისად, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს მიმართ, 2017 წლის 7 აპრილს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და მასალები განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. რუსთავის საქალაქო სასამართლომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი - **ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.** გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სამინისტრომ კომპანიას განუსაზღვრა გონივრულ ვადას სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისათვის.

2018 წლის მაისში საწარმოს ხელახალი დათვალიერების შედეგად შეუსაბამობების დიდი ნაწილი გამოსწორებული იყო. თუმცა, საწარმოში კვლავ არ ხორციელდებოდა დამონტაჟებული აირმტვრედიანი მოწყობილობების (ფილტრების) მუშაობის ეფექტურობის განსაზღვრა.

2019 წლის 5 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-733 ბრძანებით დამტკიცდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ უკანონოდ აშენებული სატრანსფორმატორო ქვესადგურს საქმიანობის გაგრძელების უფლება მიეცა და დაუდგენდა შესაბამისი გეგმა-გრაფიკი. 2019 წლის 20 დეკემბერს შედგენილი ინსპექტირების ოქმის თანახმად, არ იყო შესრულებული მინისტრის 2019 წლის 5 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების არცერთი პირობა. სასამართლოზე კომპანიამ აღიარა დარღვევა, გამოთქვა დარღვევის აღმოფხვრის მზადყოფნა და სიტყვიერი გაფრთხილების გამოყენება მოითხოვა. სასამართლომ 5000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა დააკისრა კომპანიას.

მაღევე გაირკვა, რომ კომპანია სულაც არ იყო მოწოდებული დროულად გამოეწორებინა დარღვევები. 2020 წლის ივნისში ჩატარებული შემოწმებისას კვლავ გამოვლინდა შეთანხმებული პირობების დარღვევა. კომპანიას განესაზღვრა დამატებითი ვადა დარღვევების აღმოსაფხვრელად და დაევალა:

1. ერთი თვის ვადაში სამინისტროში წარედგინა სატრანსფორმატორო ქვესადგურში სახანძრო ინვენტარის არსებობის შესახებ ინფორმაცია (გეგმა-გრაფიკის პირველი პირობა);
2. ერთი თვის ვადაში სამინისტროში წარედგინა ინფორმაცია სატრანსფორმატორო ქვესადგურში ძალოვანი ტრანსფორმატორებისა და ამომრთველების შესახებ (გეგმა-გრაფიკის მე-2 პირობა), ხოლო ზეთიანი ამომრთველების არსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის წარდგენიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყო ძალოვან ტრანსფორმატორებთან და ზეთიან ამომრთველებთან ზეთშემკრები ავზების მოწყობა (გეგმა-გრაფიკის მე-3 პირობა);
3. ორი თვის ვადაში უზრუნველყო ქვესადგურის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემის მოწყობა და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში წარდგენა.

თუმცა, უკვე 2020 წლის დეკემბერში ჩატარებული შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ქვესადგურის ტერიტორიაზე არ იყო მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა და შესაბამისად, არ იყო შესრულებული მესამე პირობა. ამის გამო, 2021 წლის 9 მარტს, რუსთავის საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილებით შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ დაჯარიმდა 15 ათასი ლარით. სანიაღვრე წლების შემკრების მშენებლობა კომპანიამ მხოლოდ 2021 წლის სექტემბერში დაასრულა.

ქართული ცემენტი

შპს „ქართული ცემენტი“ (მოგვიანებით შეერწყა ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას) ცემენტის ქარხანა რუსთავში 1991 წლიდან ფუნქციონირებს. მშრალი მეთოდით წარმოების ინტეგრირებული ცემენტის ქარხნის ოპერირებაზე 2013 წლის 2 აპრილს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #13, ხოლო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა #000072 2013 წლის 5 აპრილის #ი-85 ბრძანებით გაიცა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2018 წლის 12 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება #2-554 „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“, რომლითაც გაუქმდა ბრძანება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ, მაგრამ ძალაში დარჩა 2013 წლის №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების თანახმად კომპანია ვალდებულია:

1. საქმიანობა განახორცილოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით წარმოდგენილი სქემის და შემარბილებელი ღონისძიებების მიხედვით;
2. უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
3. უზრუნველყოს ნარჩენების მინიმიზაცია და წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, აღრიცხვა, დროებით უსაფრთხოდ განთავსება და შემდგომი მართვის (გადამუშავება, გაუვნებლება ან განთავსება) მიზნით სათანადო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა;
4. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებიდან 2 თვის ვადაში გარემოს დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის კონკრეტული გეგმა;
5. აწარმოოს თვითმონიტორინგი, მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.

ვალდებულებების შესრულება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 03 აგვისტოს №DES 6 16 00000243 ბრძანების საფუძველზე, 2016 წლის აგვისტოში ჩატარდა შპს "ქართული ცემენტზე" (ამჟამად ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია) გაცემული გარემოზე ზემოქმედების №000072 ნებართვით (2013 წლის 02 აპრილის №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება. შემოწმების შედეგად გამოვლინდა რიგი შეუსაბამობები. კერძოდ:

1. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პირობის შესაბამისად, არ ხორციელდებოდა საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, აღრიცხვა, დროებით უსაფრთხოდ განლაგება და შემდგომ სათანადო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა;
2. ეკოლოგიური ექსპერტიზის მე-4 პირობის შესაბამისად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი არ იყო გარემოსდაცვითი მონიტორინგის კონკრეტული გეგმა (2013 წლის მაისში ინლა ყოფილიყო წარდგენილი);

3. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პირობის შესაბამისად, საწარმოში არ ტარდებოდა თვითმონიტორინგი, შესაბამისად არ აწარმოებენ პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციას;
4. შესრულებული არ იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიება:
 - სრულყოფილად არ იყო მოწყობილი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, კერძოდ საწარმოს არ გააჩნდა:
 - ქაფწარმომქმნელი სითხის ავზები;
 - სამეურნეო - ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობა;
 - რეზერვუარების ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა;
 - შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებით შემუშავებული არ იყო სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია;
 - არ ხორციელდებოდა გაზომვები მტვერდამჭერი სისტემის მუშაობის ეფექტურობის დასადგენად;
 - წვიმის წყლის შემკრები კოლექტორი და სალექარი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79 მუხლით 2 გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, რომლის განხილვის საფუძველზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ კომპანია სცნო სამართალდამრღვევად და შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სამინისტრომ კომპანიას დაუდგინა ვადები კანონდარღვევის გამოსასწორებლად.

2019 წლის 3 აპრილს ჩატარებული განმეორებითი შემოწმებისას ნებართვის პირობებთან გამოვლენილი შეუსაბამობები აღმოფხვრილი იყო.

ფოტის ქარხანა

2018 წლის 5 იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) ფოტის მუნიციპალიტეტში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ „ცემენტის საწარმოს საქმიანობის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. განცხადების თანახმად, გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე კომპანიისათვის შენიშვნებისა და კომენტარების წარდგენა შესაძლებელი იყო 2018 წლის 9 თებერვლამდე.

მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული იყო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც სრულიად განსხვავებულ პროცედურას ადგენდა, სამინისტრომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია უკვე ძალადაკარგული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით დადგენილი პროცედურით განიხილა. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონი არ თვალისწინებდა საჯარო უწყების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას, ნაცვლად ამისა კანონი ნებართვის მაძიებელს ავალდებულებდა დოკუმენტის განსახილველად გამოქვეყნებას და საზოგადოებისაგან შენიშვნების მიღებას. მაშინ, როდესაც ამ დროისთვის უკვე ამოქმედებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ამ საქმიანობისათვის საზოგადოების სავალდებულო მონაწილეობით ორ ეტაპიან გადაწყვეტილების მიღების პროცედურის გავლას ითვალისწინებს. მწვანე ალტერნატივა არ მონაწილეობდა აღწერილ პროცესში, თუმცა მოუწოდებდა სამინისტროს თავი შეეკავებინა (ამ და არაერთი სხვა) გარემოსა და

ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ძალადაკარგული წესის გამოყენებისგან⁹.

საინტერესოა, რომ საბოლოოდ სამინისტრომ გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი წესით მიიღო, თუმცა გაცილებით უხეში დარღვევებით, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი მინისტრის 2018 წლის 30 ოქტომბრის N2-876 ბრძანებით დამტკიცებულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ გამოქვეყნებული გზმ ანგარიშის საჯარო განხილვაში მონაწილეობის შემდეგ, ანგარიშზე შენიშვნების მომზადების პროცესში აღმოაჩინა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე სამინისტროს მიერ 2011 წელს გაცემული იყო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შპს „კავკაზ ცემენტ ვესტ“-ზე ცემენტის წარმოებაზე. სამინისტრომ კომპანიას აცნობა, რომ გზმ-ს ანგარიშის ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე შპს „კავკაზ ცემენტ ვესტმა“ უნდა მიმართოს სამინისტროს ნებართვის გაუქმების თაობაზე. მალევე, შპს „კავკაზ ცემენტ ვესტის“ დირექტორმა ითხოვა 2011 წელს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება და სამინისტრომ ის ძალადაკარგულად გამოცნადა.

ასევე, სამინისტრომ აღმოაჩინა, რომ ჯერ კიდევ 2016 წლის აგვისტოში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ცემენტის ქარხნის საქმიანობის შემოწმებისას დაუდგენია, რომ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე, ნაბადის უბანში მდებარე შპს „კავკაზ ცემენტ ვესტ“-ის ნაცვლად ფუნქციონირებდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმიდან და საწარმოს 7000 ლარით დაჯარიმების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან სამინისტროსთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ფოთის ცემენტის საწარმო 2013 წლის 24 სექტემბრიდან ფუნქციონირებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე.

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, სამინისტრო არ დაინტერესებულა 2016 წლიდან 2018 წელს სამინისტროსთვის ნებართვის მოსაპოვებლად მიმართვამდე კომპანიის უკანონო საქმიანობით. მეტიც, სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ უკანონო საქმიანობა უნდა დაკანონდეს და კომპანიამ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მოიპოვოს.

როგორც მინისტრის 2018 წლის 30 ოქტომბრის N2-876 ბრძანებით დამტკიცებულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, 2018 წლის 6 ივლის შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების მიზნით წარმოადგინა ფოთის ცემენტის საწარმოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში, გეგმა-გრაფიკი. თუმცა, სამინისტროს ხსენებული დოკუმენტები არ გამოუქვეყნებია და არც მათი საჯარო განხილვა ჩატარებია, როგორც ამას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ითვალისწინებს. საბოლოოდ სამინისტროს არც ამ უხეში დარღვევებით მიღებული გადაწყვეტილება გამოუქვეყნებია. გადაწყვეტილების თანახმად, „ფოთში, ლარნაკას ჩიხში, (ნაბადას უბანში) შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება შესაძლებელია ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისა და ექსპერტიზის შედეგად დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკით მითითებულ ვადებში შესრულების შემთხვევაში.

⁹ [გარემოს დაცვის სამინისტროს რეფორმირების პირველი შედეგები](#), 19 თებერვალი, 2018

დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკი

#	პირობები	შესრულების ვადა მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან
1.	შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ უზრუნველყოს სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი სალექარის მოწყობის ვადის და ადგილმდებარეობის დაზუსტება და აღნიშნული ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა.	2 თვის ვადაში
2.	უზრუნველყოს გენ-გეგმის წარმოდგენა სადაც დატანილი იქნება აღნიშნული სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი სალექარი და ასევე გენ-გეგმის ექსპლიკაციაში მითითებული მე-9 და მე-10 პოზიციები.	2 თვის ვადაში
3.	შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ უზრუნველყოს სანიაღვრე ჩამდინარე წყლების სალექარის დეტალური სქემის, მისი პარამეტრების და ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა.	2 თვის ვადაში
4.	გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი და მონიტორინგის გეგმაში გაითვალისწინოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების კონტროლი და კონცენტრაციის განსაზღვრა ინსტრუმენტული გაზომვებით, პერიოდულობისა და საკონტროლო წერტილების მითითებით.	1 თვის ვადაში

ვალდებულებების შესრულება

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 26 მარტის #DES7210000068 ბრძანებით დაიგეგმა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 30 ოქტომბრის #2-876 ბრძანებით დამტკიცებული ქ. ფოთში, ლარნაკას ჩიხში (ნაბადის უბანში) მდებარე საწარმოს საქმიანობის გაგრძელების შესახებ #6 გადაწყვეტილებით დადგენილი პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმება. შემოწმების შესახებ #003489 აქტის თანახმად, დადგინდა, რომ ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას მიერ არ არის შესრულებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი გეგმა-რაფიკით, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშით და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებები. კერძოდ:

1. გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული მეორე პირობის შესრულების მიზნით სამინისტროში არ რის წარდგენილი გენ-გეგმა, სადაც დატანილი იქნებოდა აღნიშნული სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი სალექარი და ასევე გენ-გეგმის ექსპლიკაციაში მითითებული მე-9 და მე-10 პოზიციები. საგულისხმოა, რომ პირობის შესრულება 2 თვის ვადაში, 2018 წლის 30 დეკემბრამდე უნდა მომხდარიყო. სამინისტრომ დოკუმენტი 27 თვის შემდეგ მოიკითხა.
2. ასევე, გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული მეოთხე პირობის შესრულების მიზნით კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მონიტორინგის გეგმა სადაც გათვალისწინებული იქნებოდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების კონტროლის პერიოდულობა და ინსტრუმენტული გაზომვებით დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციის განსაზღვრის

საკონტროლო წერტილები. ეს ვალდებულება კომპანიას 1 თვის ვადაში უნდა შეესრულებინა, სამინისტრომ კი 28 თვის შემდეგ მოიკითხა.

3. კომპანია არ აწარმოებდა ცემენტის მტვრის ყოველკვირეულ მონიტორინგს.
4. კომპანია არ ახორციელებდა ხმაურის, ვიბრაციის, აირმტვერდამჭერი სისტემების ეფექტურობის მონიტორინგს; არ აღრიცხავდა ნარჩენებს.
5. არ იყო უზრუნველყოფილი მოწყობილობების გამართულობა და ჰერმეტიულობა.
6. სახანძრო და საწარმოო მიზნებისათვის ტერიტორიაზე არ იყო მოწყობილი დაგეგმილი წყლის აუზი;
7. ტერიტორიაზე არ იყო მოწყობილი სანიაღვრე წყლების შემკრები არხები და სალექარი. ცემენტის ქარხნის ჩრდილოეთ ნაწილში ღობესთან, ტერიტორია იყო დატბორილი და ლამით დაგარული. ღობის ძირში შეინიშნებოდა ღობეები, საიდანაც უხვი ნალექის შემთხვევაში, ხდებოდა სანიაღვრე წყლების გადინება საწარმოს ტერიტორიის გარეთ და შედეგად მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურება.
8. საწარმოს ტერიტორიაზე არ იყო განთავსებული სამედიცინო ყუთები.
9. საწარმოს ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების განთავსებისათვის არ იყო მოწყობილი სასაწყობე სათავსი, რომელსაც ექნება სათანადო აღნიშვნა და დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისა და უცხო პირების ხელყოფისაგან; მოპირკეთებული იქნება მყარი და ტენიანადევი საფარით; აღჭურვილი იქნება ხელსაბანით და ონკანით, წყალმიმღები ტრაპით, სტელაჟებით, თაროებით და ნარჩენების განთავსებისათვის შესაბამისი მარკირების ჰერმეტიული ტარით. დადგინდა, რომ ლუმინისცენციური ნათურები განთავსებულია ანგარში, პლასტმასის კონტეინერში და არ არის დაცული უცხო პირთა შეხებისაგან; კონტეინერი არ არის მარკირებული. ასევე არ იყო მარკირებული 200 ლიტრიანი კასრები, რომელშიც განთავსებული იყო თხევადი სახიფათო ნარჩენი (ზეთი და საპოხი მასალა).
10. საწარმოს ტერიტორიაზე არ იყო მოწყობილი არასახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების მოედნები, რომელსაც ექნებოდა მყარი საფარი, შემოღობვა, შემოზვინვა, გადახურვა და შესაბამისი აღნიშვნები. სამშენებლო ნარჩენები, ნახმარი საბურავები და ჯართი არ იყო განთავსებული მათთვის სპეციალურად გამოყოფილ მოედნებზე.
11. კომპანიას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელ ორგანიზაციასთან საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების გატანა-განთავსების თაობაზე.
12. კომპანია არ აწარმოებდა ნარჩენების სათანადო აღრიცხვას, შესაბამის კონტეინერებში შეგროვებას და უსაფრთხოების საჭირო ზომების დაცვით სპეციალურად გამოყოფილ ადგილას განთავსებას.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით, მშს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია დაჯარიმდა 10 000 ლარით.

პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია

საგულისხმოა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან გარემოსდაცვითი შეფასებების კოდექსის ამოქმედებასთან ერთად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია¹⁰ სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს საქმიანობის შემდგომი ანალიზი, რომელიც მოიცავს:

- ა) პირობებისა და შემარბილებელი ღონისძიებების მონიტორინგს;
- ბ) საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების ანალიზს;
- გ) გზმ-ის ანგარიშით გათვალისწინებული გარემოს მახასიათებლების ცვლილებების შეფასებას.

ეს ვალდებულება კოდექსის ამოქმედებიდან მეხუთე წელსაც კი არ სრულდება - არც ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას და არც ნებისმიერი სხვა საწარმოს მიმართ. პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზეა შესაძლებელი.

ლიცენზიები

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას [2020 წლის ფინანსური ანგარიშის](#) თანახმად, „კომპანიას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების რამდენიმე ლიცენზია აქვს მიღებული. ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულით მოსარგებლები ვალდებული არიან მოახდინონ მათ მიერ ლიცენზიის საფუძველზე დამუშავებული ტერიტორიების რეკულტივაცია. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა არ არის საკმარისად დახვეწილი ამ სფეროში და არ იძლევა დაწვრილებით მითითებებს, რათა ყველა შესაძლო სიტუაცია მოიცვას. კომპანიის ხელმძღვანელობამ დეტალურად გააანალიზა თავისი ყველა ლიცენზია და გადაწყვიტა, რომ არ დაეკისრება რამე არსებითი რეკულტივაციის ხარჯები ამ ლიცენზიების ვადის გასვლის შემთხვევაში ან მათი გამოყენების დროს, ვინაიდან შეუძლებელია ლიცენზიების საფუძველზე დამუშავებული ტერიტორიების რეკულტივაცია, რადგან ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორია განსაზღვრულია, როგორც წიაღისეულის მოპოვების არეალი და, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ასეთ ტერიტორიებზე რეკულტივაცია დაუშვებელია. გარდა ამისა, სასარგებლო წიაღისეულის მარაგები ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე აღემატება იმ მთლიან რაოდენობას, რომლის მოპოვების უფლებაც კომპანიას აქვს სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში, რაც მთავრობას საშუალებას აძლევს, სამთომოპოვებითი სამუშაოების უფლებები გადასცეს სხვა საწარმოს და გამორიცხავს მადნის ლიკვიდაციას. გამორიცხული არ არის, რომ კანონმდებლობა შეიძლება მომავალში შეიცვალოს და ეს ცვლილებები კომპანიის მიმდინარე ლიცენზიებზეც აისახოს. კომპანიას არ უღიარებია რეკულტივაციის ანარიცხები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ ანარიცხებმა შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ მათი შექმნა საჭირო გახდება“.

2020 წლის ფინანსური ანგარიშის თანახმად, შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია მიერ 2020 წელს ლიცენზიებთან კავშირში სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდები შემდეგნაირად გამოიყურება:

1. სახელმწიფოს მიმართ გადახდილი სასარგებლო წიაღისეულის მოსაკრებელი

წიაღისეულის სახე	2020 წელს გადახდილი მოსაკრებელი (ლარი)
კირქვა	978 592
ტუფი	55 079

¹⁰გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-17 მუხლი.

წიაღისეულის სახე	2020 წელს გადახდილი მოსაკრებელი (ლარი)
თიხა	28 795
ქვიშა	108 724
მარგანეცი	6 732
წყალი	11 012
სულ:	1 188 934

2. სახელმწიფოს მიმართ გადახდილი რეგულირების საფასური 3740 ლარს.

შპს ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიას საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიები - ამონარიდი წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების რეესტრიდან¹¹.

ლიცენზიის ნომერი	ობიექტის დასახელება	მოქმედების ვადა	რესურსის მოცულობა	ფართობი	გადაცემა
398	„სასხორის“ საბადოდან საცემენტე კირქვის მოპოვება მცხეთის მუნიციპალიტეტი	29.09.00 30.09.30	1,5 მლნ ტონა დასავლეთ უბანზე - 15 მლნ ტონა აღმოსავლეთ უბანზე - 9 მლნ. ტონა	114 ჰა	შპს „საქემენტი“-ზე გაცემული ლიცენზია გადაფორმდა 13/323 21.08.12 უნდა გადაიხადოს 200 870 ლარი უნდა გადაიხადოს 1 855 000 ლარი 1239/ს 06.11.20წ. ბრძანებით ცვლილება
1000326	საფლუსე კირქვების საბადოს მარჯვენა უბანზე კირქვების მოპოვება (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში)	29.12.11 15.02.27	ჯამური მოპოვება 12 157 955 (წელიწადში არანაკლებ 300 000) ტ	8,45 ჰა	100150 ლიცენზია მთლიანად გადასცა შპს „ქართული ფოლადის კარიერმა“ 100556 ლიცენზია იჯარით გადასცა შპს „საქემენტს“ 100308 ლიცენზია მთლიანად გადასცა სს „ქართული ფოლად“-მა იჯარით გადასცა შპს „ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიას“ 2012 წლის 15 თებერვლიდან 2013 წლის 1 მარტამდე
1000791	„გარდაბნის“ თიხის (საცემენტე) მოპოვება გარდაბნის მუნიციპალიტეტში	21.08.12 23.12.28	ჯამური მოპოვება 1 056 490 ტ	10,94 ჰა	„საქემენტი“-ზე გაცემული 100352 ლიცენზია გადაფორმდა
1000792	„კავთისხევის“ კირქვის (საცემენტე) მოპოვება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევი	21.08.12 27.01.29	ჯამური მოპოვება 10 239 112 ტ	43,99 ჰა	„საქემენტი“-ზე გაცემული 100394 ლიცენზია გადაფორმდა
1000793	კავთისხევის საცემენტე კირქვის საბადოს „მეწყრული უბნის“ საცემენტე კირქვის მოპოვება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევის მიმდებარედ	21.08.12 10.10.28	ჯამური მოპოვება 2 723 292 ტ	9,9 ჰა	„საქემენტი“-ზე გაცემული 100214 ლიცენზია გადაფორმდა
1000794	საფლუსე (საცემენტე) კირქვების საბადოს მარცხენა უბანზე კირქვების მოპოვება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში	21.08.12 15.02.27	ჯამური 29048000 ტ კლინკერად გადაამუშაოს არანაკლებ 500 000 ტ	26,7 ჰა	რუსთავემენტზე გაცემული 00469 ლიცენზია გადაფორმდა საქემენტზე გაცემული 100151 ლიცენზია გადაფორმდა
1002574	მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება	19.05.15 20.05.40	657 მ3/წ	0.07 ჰა	

¹¹ [წიაღით სარგებლობის ლიცენზიების რეესტრი 2021 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით](#). დოკუმენტი მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომია მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში

ჰაიდელბერგემენტ ჯორჯია - კომპანიის პროფილი, 2022

ლიცენზიის ნომერი	ობიექტის დასახელება	მოქმედების ვადა	რესურსის მოცულობა	ფართობი	გადაცემა
	კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო ჩოჩეთის მიმდებარედ				
1004276	„ძეგვის“ ცოლითის მემცველი ტუფების (უბანი დარბაზისხევი) მოპოვება, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგვის მიმდებარედ	14.02.17 15.02.37	ჯამური მოპოვება 993 000 ტონა	4.31 ჰა	
1005253	მინისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მოპოვება, ქალაქ კასპის ტერიტორიაზე, ფარნავაზის ქ.2	14.02.18 15.02.43	30 660 მ3/წ	0.07 ჰა	
1005258	მინისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება (ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე, მშენებელთა ქ. #70)	15.02.18 16.02.43	25 000 მ3/წ	0.07 ჰა	
1005388	მინისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება, ქალაქ რუსთავში, ცემენტის ქარხნის და სს „პერლიტის“ მიმდებარე ტერიტორიაზე	16.04.18 17.04.43	5000 მ3/წ	0.07 ჰა	
1005432	მინისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება (ქალაქ რუსთავში, ცემენტის ქარხნის და სს „პერლიტის“ მიმდებარე ტერიტორიაზე)	02.05.18 03.05.43	800 მ3/წ	0.07 ჰა	
1005542	მინისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მოპოვება ქ. თბილისის ტერიტორიაზე	30.05.18 28.04.41	29 200 მ3/წ	0.07 ჰა	ჰაიდელბერგემენტონ ჯორჯიაზე გაცემული #1003564 ლიცენზიის ცვლილება (სახელის) ჰაიდელბერგემენტ კაუკასუსზე გაცემული #1004492 ლიცენზიის ცვლილება (სახელის)
1005543	მინისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლეჟბადინის მიმდებარე ტერიტორიაზე	30.05.18 23.11.41	35 000 მ3/წ	0.07 ჰა	ჰაიდელბერგემენტონ ჯორჯიაზე გაცემული #1004099 ლიცენზიის ცვლილება (სახელის) ჰაიდელბერგემენტ კაუკასუსზე გაცემული #1004491 ლიცენზიის ცვლილება (სახელის)
1005544	ჩხარი-აჯამეთის (ბროლის ქედის) მანგანუმის მოპოვება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახშირლელე	30.05.18 13.09.27	ჯამური მოპოვება 20 000 ტ	2,84 ჰა	00844 ლიცენზიის ნაწილი მპს „ქართული ცემენტი“-ზე გაცემული #01011 ლიცენზიის ცვლილება (სახელის) ჰაიდელბერგემენტ კაუკასუსზე გაცემული #1004470 ლიცენზიის ცვლილება (სახელის)
1005545	კირქვის მოპოვება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ.	30.05.18 07.11.26	ჯამური მოპოვება 103 000 მ3	10,7 ჰა	ქართულ ცემენტზე გაცემული #00370 ლიცენზიის ცვლილება (სახელის) ჰაიდელბერგემენტ კაუკასუსზე

ჰაიდელბერგემენტ ჯორჯია - კომპანიის პროფილი, 2022

ლიცენზიის ნომერი	ობიექტის დასახელება	მოქმედების ვადა	რესურსის მოცულობა	ფართობი	გადაცემა
	ნიჩბის მიმდებარე ტერიტორია				გაცემული #1004469 ლიცენზიის ცვლილება (სახელის)
1005546	მიწისქვეშა (#1 და #2 ჭაბურღილი) მტკნარი წყლის საყოფაცხოვრებო მოპოვება ქ. რუსთავი, კომპანიის კუთვნილი ტერიტორია	30.05.18 27.09.32	360 მ3/დღ	15 მეტრიანი რადიუსით თითოეულზე	ქართული ცემენტი გაცემული #00862 ლიცენზიის ცვლილება (სახელის) ჰაიდელბერგემენტ კუკასუსზე გაცემული #1004468 ლიცენზიის ცვლილება (სახელის)
1005547	მდ. ხრამის ქვიშა-ხრების მოპოვება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. იმირის მიმდებარედ	30.05.18 01.09.22	ჯამური მოპოვება 76 800 მ3	2.56 ჰა	ჰაიდელბერგემენტ კუკასუსზე გაცემული #1004826 ლიცენზიის ცვლილება (სახელის)
1005549	მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მოპოვება თბილისის ტერიტორიაზე, ფეიქრების 1 შესახვევის #2	30.05.18 07.04.42	60 000 მ3/წ	0.07 ჰა	ჰაიდელბერგემენტ კუკასუსზე გაცემული #1004413 ლიცენზიის ცვლილება (სახელის)
1005550	მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მოპოვება ქ. ფოთის ტერიტორიაზე, ნაბადის უბანში	30.05.18 16.03.42	20 000 მ3/წ	0.07 ჰა	ჰაიდელბერგემენტ კუკასუსზე გაცემული #1004346 ლიცენზიის ცვლილება (სახელის)
10000383	„გარდაბნის“ საცემენტე თიხის მოპოვება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორია	29.11.18 21.12.27	ჯამური მოპოვება 4155731.68 ტ	26.92 ჰა	შპს საქცემენტზე გაცემული 01015 ლიცენზია გადაფორმდა 1000795 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს ტექნომეტალს
10000745	მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მოპოვება. მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულარის საკრებულოს მიმდებარედ	17.05.19 18.05.24	4500 მ3/წ	0.07 ჰა	
10000963	მდ. ხრამზე „ლეჟადინის“ ქვიშა, ხრების მოპოვება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხანჯი-გაზლოს მიმდებარედ	17.05.19 24.10.25	ჯამური მოპოვება 1692402 მ3	58.73 ჰა	1003037 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს „რუსთავი 2015“-ს ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიაზე გაცემული #1003858 ლიცენზიის ცვლილება (სახელის) ჰაიდელბერგემენტ კუკასუსზე გაცემული #1004483 ლიცენზიის ცვლილება (სახელის) 1005538 ლიცენზიის ცვლილება (მოქმედების ვადის გაზრდა) 10000744 ლიცენზიის ცვლილება
10001104	მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მოპოვება ქ. კასპის ტერიტორიაზე, ფარნავაზის ქ. 2	25.11.19 26.11.29	4000 მ3/წ	0.07 ჰა	
10001255	მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება (ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე, ავტომშენებლის ქუჩა #88 (ნაკვეთი #18-2)	09.01.20 10.01.25	20 000 მ3/წ	0.07 ჰა	

ლიცენზიის ნომერი	ობიექტის დასახელება	მოქმედების ვადა	რესურსის მოცულობა	ფართობი	გადაცემა
10001284	მდ. ხრამის ქვიშა, ხრემის მოპოვება (მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაიდარის მიმდებარე ტერიტორიაზე)	29.01.20 30.01.23	ჯამური მოპოვება 33 570 მ3	11190 კვ.მ	
10001285	მდ. ხრამის ქვიშა, ხრემის მოპოვება (მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაიდარის მიმდებარე ტერიტორიაზე)	29.01.20 30.01.24	ჯამური მოპოვება 51 490 მ3	25745 კვ.მ	
10001301	მდ. ალაზანზე „ქვემო ალვანის“ ქვიშა-ხრემის მოპოვება (ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქისტურის მიმდებარე ტერიტორიაზე)	13.02.20 14.02.25	ჯამური მოპოვება 257 595 მ3	171730 კვ.მ	
10002430	ქალაქ კასპის ტერიტორიაზე, ფარნავაზის ქუჩა N2-ში მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება	18.10.21 19.10.46	86 400 მ3/წ	0.07 ჰა	

მწვანე ალტერნატივამ 2021 წლის 16 ნოემბერს მიმართა წიაღის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასა“ და შპს „თერჯოლა-კარიერთან“ 01/01/2020-დან წარმოებული მიმოწერის, კომპანიის მიერ წარმოდგენილი და/ან კომპანიისათვის გაგზავნილი ყველა დოკუმენტის ასლი. 2021 წლის 2 დეკემბერს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილა და გადმოგვცა მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის დოკუმენტაცია, რომლიც არ გადმოგვცა გასულ წელს იდენტური მოთხოვნის საფუძველზე. გადმოცემული დოკუმენტაცია არ მოიცავს სააგენტოს მიერ ზემოჩამოთვლილი ლიცენზიებით სარგებლობისას კომპანიების მიერ კანონის მოთხოვნების და/ან ლიცენზიის პირობების დაცვის შემოწმების ამსახველ ინფორმაციას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ გადმოგვცა შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" დაჯარიმების შესახებ დადგენილებები. გადმოცემული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 2020 წლის განმავლობაში კომპანია სამჯერ დაჯარიმდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში კირქვის საბადოს კარიერზე „კარიერების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის:

- 20 წლის 28 თებერვლის Nდად-33/06 დადგენილებით - 150 ლარით;
- 2020 წლის 25 ივნისის Nდად-44/06 დადგენილებით, ასევე, 150 ლარით;
- 2020 წლის 10 სექტემბრის Nდად-200/09 - 300 ლარით.

2020 წლის 21 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე კირქვის საბადოს კარიერის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისას გამოვლინდა, „კარიერების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან ახალი არსებითი შეუსაბამობა, რისთვისაც შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია 300 ლარით დაჯარიმდა 2021 წლის 28 აპრილის Nდად-101/09 დადგენილებით.

გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას არ გააჩნდა ქართული ვებ-გვერდი და ამის შესახებ მწვანე ალტერნატივა კომპანიის 2017 წლის პროფილში უთითებდა¹². კომპანიის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფის მთავარ ვებ-გვერდზე, [სპეციალურად გამოყოფილ განყოფილებაში](#). ინფორმაცია წარმოდგენილი იყო მხოლოდ ინგლისურად. 2018 წელს კომპანიის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია [ქართულადაც](#). ვებ-გვერდის თანახმად, კომპანია ფლობს ცემენტის ქარხნებს კასპში (1) და რუსთავში (2), ასევე ცემენტის წისქვილს ფოთში, ცემენტის ტერმინალს სუფსაში და 13 ბეტონის ქარხანას. კომპანიას საქართველოში 1200-ზე მეტი ადამიანი ჰყავს დასაქმებული. ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი ახალი სტრუქტურის შესახებ.

ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ქარხნებისა და გამოშვებული პროდუქციის მოკლე აღწერა, რომელიც შესაძლოა პროდუქციის მყიდველისთვის სასარგებლო აღმოჩნდეს; მაგრამ არ არის ინფორმაცია რესურსის მოპოვებისა და გადამუშავების პროცესზე, რომელიც ამ პროცესების გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედებით დაინტერესებული პირისათვის არის მნიშვნელოვანი.

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია არ აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის და/ან გარემოს მდგომარეობის შესახებ; გარემოზე ზემოქმედების შემცირების და/ან თავიდან აცილებისთვის განხორციელებული და/ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

კომპანიის საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას არც გარემოსა და სოფლის მეურნეობის დაცვის სამინისტრო აწვდის, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, ეს ინფორმაცია პროაქტიულად - მოთხოვნის გარეშე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

¹² ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია - კომპანიის პროფილი 2017, www.greenalt.org

2015 წლიდან „მწვანე ალტერნატივა“ გამოსცემს პერიოდულ ანგარიშს „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოში“. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვისას ვაფასებთ ე.წ. მსხვილი დამბინძურებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას და ვამზადებთ საქმიანობის მასშტაბითა და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოთხი გამორჩეული საწარმოს პროფილს. ესენია: არემჯი, ჯორჯიან მანგანუზი, საქნახშირი და ჰაიდელბერგცემენტი.

ეს დოკუმენტი ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწერს.

THE SIGRID RAUSING TRUST

დოკუმენტი გამოცემულია ღია საზოგადოების ფონდების ქსელისა და Sigrid Rausing Trust-ის ფინანსური მხარდაჭერით.



ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ღია საზოგადოების ფონდების ქსელისა და Sigrid Rausing Trust-ის შეხედულებებს.



მწვანე ალტერნატივა

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2022

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG